

ვალუტის კურსის ცვლილების ზემოქმედება სამოქალაქო
ურთიერთობებზე

ავთანდილი გელხვიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი კალანდაძე, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ავთანდილი გელხვიძე

21.06.2018

აბსტრაქტი

მსოფლიოს მასშტაბით ვალუტის კურსი ყოველდღიურად განიცდის ცვლილებებს და შესაბამისად, მისი ზემოქმედებაც სამოქალაქო თუ ეკონომიკურ ურთიერთობებზე დიდია. მზარდი საერთაშორისო სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების ფონზე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებს შორის მუდმივად წარმოიშობა ფულადი ვალდებულებითი ურთიერთობები. შესაბამისად, ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა დააზარალოს თითოეული ჩვენგანი, მიუხედავად იმისა, სხვადასხვა ქვეყანებში წარმოიშობა ჩვენი ფულადი ვალდებულებითი ურთიერთობა თუ ერთი სახელმწიფოს ფარგლებს შიგნით.

წინამდებარე ნაშრომში, განხილულია თუ რა სახით ზემოქმედებს და რომელ სამოქალაქო ურთიერთობებზე ახდენს გავლენას ვალუტის კურსის ცვლილება. ნაშრომში განხილულია ვალუტის კურსის ცვლილებისაგან თავის დაცვის სხვადასხვა მექანიზმები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების მიერ.

Abstract

Worldwide currency rate changes daily and accordingly it's impact on civil and economic relations are greater. On the background of the growing international trading and economic relationships among the legal and physical persons residing in different countries of the world are constantly emerging money liabilities. Consequently, changing the currency exchange rate may hurt each of us, despite of the fact where our monetary liabilities arise, in the different countries or within the boundaries of one country.

The present paper discusses about what kind of impact and which kind of civil relationships are affected by changing currency rates. The paper deals with different mechanisms of protection against changes of the currency rates, which can be used by individuals as well as legal entities.